თიბისი ბანკი

0007107 ახალი საკასო ცენტრის პროექტირება-დიზაინი

სატენდერო დოკუმენტაცია

სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – www.tenders.ge საშუალებით.

I. ტენდერში მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია: 30.06.2026წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
ბესო ბარსონიძე (არქიტექტორი) – 599 183 154 BBarsonidze@Tbcbank.ge

სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.ge

II. სატენდერო პირობები

ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, ყველა გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ., საშემოსავლო და ა.შ.)

სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტორნულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

შემოთავაზება შევსებული უნდა იყოს ბანკის მიერ წარმოდგენილ **„სატენდერო დანართ N1“**-ის ფორმაში.

ბანკთან სამუშაო გამოცდილების ისტორიის არ მქონე პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო დოკუმენტაციას დაურთოს შემდეგი ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ: უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში შესრულებული მსგავსი ტიპის სამუშაოები.

გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს მაჩვენებელს შემდეგ პარამეტრებში: **ა) ღირებულება; ბ) მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულების გამოცდილება**.

თანაბარმნიშვნელოვანი წინადადებების შემთხვევაში ბანკი უფლებას იტოვებს გადაწყვეტილება მიიღოს საავანსო მოთხოვნის გათვალისწინებით.

გამარჯვების შემთხვევაში კომპანიამ „თიბისი ბანკში“ უნდა გახსნას ანგარიში ან არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს საბანკო რეკვიზიტები.

მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.ge

ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

წინადადების მოქმედების ვადა: მინიმუმ 30 კალ. დღე.

III. მომსახურების აღწერა:

საპროექტო ტერიტორიის ტერიტორის საერთო ფართობი - 5134 კვ.მ

საკადასტრო კოდები:

81.21.05.489 / 81.21.14.064 / 81.21.05.415 / 01.81.21.102.010 / 01.81.21.102.012

საპროექტო შენობის საორიენტაციო ფართობი 3200 კვ.მ

საპროექტო ობიექტი არის საკასო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ-საფინანსო შენობას. განკუთვნილია ნაღდი ფულის მიღება-გაცემის, შენახვის და შესაბამისი ოპერაციების შესასრულებლად.

ფასი უნდა მოიცავდეს მერიის მხრიდან დახარვეზების გამოსწორების სამუშაოებსაც

თუ დამკვეთის ინიციატივით იქნება შეტანილი პროექტში ცვლილებები, დამატებითი ანაზღაურება უნდა მოხდეს ერთეულის ფასების გათვალისწინებით და სადაც ეს არ არის შესაძლებელი, გონივრულ ფასად, მხარეთა შეთანხმებით.

არსებული საპროექტო მასალა:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- საპროექტო ტერიტორიის ესკიზური გენგეგმა
- საპროექტო შენობის ესკიზური გეგმარება
- ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების ხარისხობრივი შეფასება
- საპროექტო არეალის ტოპოგრაფიული გეგმა

ესკიზური გეგმარების პრეტენდენტისთვის გადაცემა მოხდება ელ. ფოსტით, შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე, რასაც უნდა დაერთოს **ხელმოწერილი NDA-ს ფორმა**

(NDA Contractor's Obligations – იხ. თანდართული). წერილობითი მომართვა უნდა განხორციელდეს ტენდერის მიმდინარეობისას, ელ.ფოსტაზე - Vkituashvili@Tbcbank.ge

სატენდერო დავალება

- **წარმოდგენილი ესკიზური გეგმარების (შესაძლოა დაკორექტირდეს) საფუძველზე სრული საპრექტო დოკუმენტაციის მომზადება და შეთანხმება შესაბამის სტრუქტურებთან**
    - საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა/ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა (წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით)
    - არქიტექტურული პროექტი
    - საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების სქემები
    - ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დეკლარაცია
    - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/საექსპერტო შეფასება
    - კონსტრუქციული პროექტი/საექსპერტო შეფასება
    - საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე
    - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით
    - მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი
    - მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მოპი)
    - ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და ნებართვა.
    - მშენებლობის ზეგავლენა მომიჯნავე შენობებზე (საჭიროების შემთხვევაში)
    - გათბობა, გაგრილება, ვენტილაცია, სახანძრო, წყალმომარაგება, წყალარინება, სანიაღვრე, ელექტროობა, სუსტი დენები პროექტი
    - მაღალი ძაბვის პროექტი
    - გენერატორის და იუპიესების პროექტი
    - 41-ე დადგენილების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის შესაბამისი ექსპერტიზა
    - გაზის ქსელის პროექტი
    - არსებული შენობა ნაგეგბიბების დანგრევის პროექტი მერიაში შეთანხება
    - მომიჯნავე ნაგებობების კვლევა (საჭიროების შემთხვევაში)
    - დროებითი და მუდმივი საგზაო სქემა

- საინჟინრო პროექტების მასალათა სპეციფიკაცია,
- პროექტში გამოსაყენებელ მასალათა სპეციფიკაცია და მოცულობა,
- სახანძრო უსაფრთხოების პროექტის საგანგებოსთან შეთანხმება,
- გარე კომუნიკაციების ქსელზე დაერთებისპროექტი,
- ტერირორიაზე არცებული ხაზობრივი ნაგებობების მოკვლევა შესწავლა,

- **მშენებლობის ნებართვა**

- **სამშენებლო სამუშაოების მოცულობების უწყისი**
- **სარემონტო სამუშაოების მოცულობების უწყისი**

IV. წარმოსადგენი ინფორმაცია:

კომპანიის რეკვიზიტები

კომპანიის იურიდიული სახელი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირის სახელი გვარი, პოზიცია:
ელ-ფოსტა, ტელ-ნომერი:

IV. საკვალიფიკაციო მოთხოვნა და სამუშაო დრო:

მსგავსი ტიპის ობიექტების დაპროექტების გამოცდილება;

პროექტის მომზადება და მერიაში წარდგენა უნდა მოხდეს კონტრაქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 კალ. დღეში.

პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის აღებაზე განსაზღვრულია დამატებით 60 კალ. დღე.

V. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და განფასება - **სატენდერო დანართი N1;**
- ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ **(თავისუფალი ფორმით);**
- სრულად შევსებული KYP ფაილი - იცნობდე შენს პარტნიორს;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;